Aris.ge-განათლება > "პედაგოგები სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვას გრძნობენ"

"პედაგოგები სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვას გრძნობენ"

14.06.2013

განათლების და მეცნიერების მინისტრისა და პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით, საჯარო სკოლების მასწავლებლებს შვებულების ვადა გაუხანგრძლივდებათ. მასწავლებლებს ორმოცდღიანი ანაზღაურებადი შვებულება, ხოლო სკოლის ადმინისტარციასა და ტექნიკურ პერსონალს ხელფასი მოემატებათ.

აქამდე, მასწავლებლებს მხოლოდ 24 დღიანი ანაზღაურებადი შვებულება ეკუთვნოდათ. რეალურად, პედაგოგები სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგაც, დირექტორების ბრძანებით, სკოლებში სიარულს აგრძელებდნენ. რადგან, კანონში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერი დირექტორებს თვითნებური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევდა.

''ძალიან გვიხარია, რომ მასწავლებლებს ორ თვიანი შვებულება გვექნება. აქამდე, 24 დღიან ანაზღაურებადი შვებულება გქვონდა. თუმცა, 15 ივლისამდე ტყუილად გვაყურყუტებდნენ ქალაქში. გასვლის უფლება არ გვქონდა. საქმე დამთავრებული გვქონდა, რეალურად არაფერი იყო გასაკეთებელი, მაგრამ სკოლაში ყოველდღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე უნდა ვყოფილიყავით. რომელიმე მასწავლებელს ოჯახური პრობლემა თუ ჰქონდა, დირექტორი განცხადების საფუძველზე უშვებდა. მართალია, არ გვახრჩობდნენ, მაგრამ უსაქმოდ ვიყავით. ამიტომ, ძალიან გახარებულები ვართ ამ სიახლით." - ამბობს 207-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლალი გილიგაშვილი.

EDU.ARIS.GE-თან საუბარში პედაგოგთა პროფკავშირების თავმჯდომარე მაია კობახიძე ამბობს, რომ 2009 წლიდან კანონში აღარ არსებობდა ჩანაწერი, რომელიც მასწავლებელთა ანაზღაურებადი შვებულების ვადებს დაარეგულირებდა.

''მხოლოდ ბუნდოვანი რეგულაცია იყო. მასწავლებელსა და დირექციას შორის არსებობდა გასაფორმებელი ხელშეკრულების სავალდებულო პირობები. 959-ე ბრძანების თანახმად, პედაგოგს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით 24 დღეზე მეტი ვადით. ეს იყო ბუნდოვანი ჩანაწერი, რითაც სარგებლობდა ზოგიერთ დამსაქმებელი და მასწავლებელს აიძულებდა სკოლაში ყოფილიყო, როდესაც მოსწავლე არ არის, სასწავლო პროცესი არ არის. მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი დირექტორები მასწავლებლებს სთხოვდნენ ანაზღაურების გარეშე შვებულების მოთხოვნაზე განცხადებების დაწერას. რაც მასწავლებლების შრომითი უფლებების უხეში დარღვევა იყო. ახლა განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით, 959-ე ბრძანებაში შედის ცვლილებები, რომლის თანახმად, მასწავლებელს უფლება აქვს ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლოს კონკრეტულად ორმოცი სამუშაო დღის ვადით. ეს იმას ნიშნავს, რომ დირექტორები უწინდებურად აღარ დაელოდებიან სამინისტროდან სიტყვიერ ბრძანებას, არამედ ბრძანება დაარეგულირებს შრომით ურთიერთობებს. რეალურად, პედაგოგთა ეს პრობლემა გადაჭრილია." - ამბობს კობახიძე.

საჯარო სკოლების პედაგოგთა ანაზღაურებად შვებულებასთან დაკავშირებული სიახლე განათლების და მეცნიერების მინისტრმა და პედაგოგთა პროფკავშირების თავმჯდომარემ მაია კობახიძემ თბილისის საჯარო სკოლების 80-მდე დირექტორებს 24-ე საჯარო სკოლაში დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე აცნობეს.

''დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა, მადლიერება გამოგვეთქვა ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული ნაწილისთვის, რომელიც ზრდის ახალ თაობას. ჩვენი პედაგოგებისთვის, ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის. მათ მოვახსენეთ ახალი ცვლილებები. პედაგოგებს ექნებათ ორთვიანი შვებულება, რაც აქამდე არ იყო. ეს შედის ძალაში და იქნება მუდმივად. მათ ორთვიანი წინასწარი ხელფასი მიეცემათ მომავალი თვის დასწყისში. ადმინისტარციის მუშაკებს მოემატებათ ხელფასი. ამით ვეცადეთ გარკვეულწილად გვერდით დავდგომოდით იმ გმირულ შრომაში, რომელსაც ისინი ახორციელებენ," - აღნიშნა მარგველაშვილმა.

24-ე საჯარო სკოლის დირექტორი გია მურღულია EDU.ARIS.GE-თან ამბობს, რომ მასწავლებელთა

შვებულების ვადებს შრომის კოდექსი არეგულირებდა. სკოლას ჰქონდა ვალდებულება, რომ მასწავლებლისთვის 24 დღიანი ანაზღაურებადი შვებულება მიეცა.

‘’მერე უკვე სკოლის ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე და ასევე, სკოლის შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული თუ გაიზრდებოდა ეს შვებულება 36 დღემდე ან მეტად. ახლა სახელმწიფომ გამოაცხადა, რომ შვებულება გაიზარდა ორმოც სამუშაო დღემდე . პრაქტიკულად, მასწავლებლებს ორი თვე გამოსდით. ივლისის დასაწყისში შვებულება ექნებათ და სკოლაში არა უგვიანეს ორი სექტემბრისა გამოცხადდებიან. ეს ძალიან კარგი სიახლეა, რადგან ძალიან მძიმეა პედაგოგის საქმიანობა. მასწავლებელი ძალიან იღლება. ბუნებრივია, მას ძალების აღდგენა და იმის თეორიულად დაგეგმვა სჭირდება, რასაც პრაქტიკაში ახორციელებს. კარგია, რომ სახელმწიფომ გამოძებნა ფინანსური შესაძლებლობები, რომ მასწავლებლებს დასვენების დღეები გაუხანგრძლივდეთ.” - ამბობს მურღულია.

როდესაც მასწავლებლის შრომითი და სოციალური უფლებები დაცული იქნება, ეს დადებით გავლენას იქონიებს სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებაზე - ამბობს მაია კობახიძე.

‘’ ის რომ, პედაგოგი არ არის სტრესის ქვეშ, აქვს მშვიდი სამუშაო გარემო, ბოლო თვეების მანძილზე მათი პოლიტიკური ან სხვა ნიშნით სამსახურებიდან გათავისუფლება არ განხორციელებულა, ეს პედაგოგს საშუალებას აძლევს, რომ შედეგზე იზრუნოს და სწავლა-სწავლების ხარისხი თავისთავად ამაღლდება. გაუმჯობესებულია მასწავლებელთა შრომითი სოციალური მდგომარეობა. პედაგოგები სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვას გრძნობენ. ” - ამბობს კობახიძე.

სალომე არის© გოგოხია

უკან